



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაგტკივებ“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა შეყილაძე


26 04 2018 წელი

№ 29/36

ეგზ.: №1

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	6
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	7
1.2.1 ფინანსური აქტივები	7
1.2.2 ფინანსური ვალდებულებები	8
1.2.3 არაფინანსური აქტივები	9
1.2.4 ხარჯები	9
1.2.5 საცნობარო მუხლი	10
1.2.6 განმარტებითი შენიშვნები	11
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	11
2.1 ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ნაკლოვანებების მიმოხილვა	11
2.2 შესყიდვები.....	12
2.3 იმუნიზაციის პროგრამა.....	15
2.3.1 ანტირაბიული იმუნოგლობულინი.....	16
2.3.2 ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა (ანტირაბიული ვაქცინა).....	18
2.3.3 კონტროლის სისუსტე.....	19
2.4 ეპიდზედამხედველობის პროგრამა	20
2.5 ინვენტარიზაცია	20
2.6 მოთხოვნები და ვალდებულებები გაკოტრებული ორგანიზაციების მიმართ	20
3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	21
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	21
5. დანართები - სამინისტროს (35 00) ფინანსური ანგარიშგება.....	24

ტერმინთა განმარტება

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - **სამინისტრო.**
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი - **ცენტრალური აპარატი**
3. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო - **სააგენტო.**
4. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - **ცენტრი.**
5. სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი - **ფონდი.**
6. სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი - **დახმარების ცენტრი.**
7. სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო - **რეგულირების სააგენტო.**
8. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლები - **წარდგენის საფუძვლები.**
9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია“ - **ინსტრუქცია.**
10. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია - **ჯანმო.**

ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესახებ


სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება¹, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანებია:

- ა) მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია;
- ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:
 - ბ.ა) ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;
 - ბ.ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
 - ბ.გ) სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება.
- გ) სოციალური დაცვის სფეროში:
 - გ.ა) მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა;
 - გ.ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის შესაბამისი გასაცემლების დადგენილ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფა;
 - გ.გ) ბავშვებზე ზრუნვა;
 - გ.დ) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა.
- დ) შრომისა და დასაქმების სფეროში:
 - დ.ა) შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;
 - დ.ბ) შრომითი მიგრაციის რეგულირება;
 - დ.გ) დასაქმების ხელშეწყობა, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების კოორდინაცია;
 - დ.დ) ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვისა და შრომითი დისკრიმინაციის შემთხვევების აღმოფხვრის ხელშეწყობა.

¹ საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სქემა №1. სამინისტროს სტრუქტურა (სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება)



*ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული დაწესებულება.

სამინისტროს სისტემა (საბიუჯეტო კოდი: 35 00) შედგება 4 ძირითადი საქმიანობის მიმართულებისგან, რომელსაც მართავს სამინისტროს სისტემაში შემავალი 6 უწყება (საბიუჯეტო კოდი: 35 01).

ცხრილი №1. სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის პარამეტრები² (ათას ლარებში)

			I დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	წილი მთლიან ბიუჯეტში
სამინისტროს სისტემა:	35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,162,000	3,240,892	3,239,253	
განმახორციელებელი	35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	51,500	52,829	52,652	2%
საქმიანობის სფერო (მიმართულება)	35 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,273,000	2,256,835	2,256,684	70%
	35 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	801,475	902,310	901,176	28%

² ცხრილში მოცემული თანხები არ შეიცავს ინფორმაციას გრანტების და საკუთარი სახსრების შესახებ.

35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	32,000	26,709	26,548	1%
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	4,025	2,206	2,190	0%

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს³ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემები, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

³ ინსტრუქცია - დანართები 1-დან 12-მდე.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 ფინანსური აქტივები

მოთხოვნები სამედიცინო დაწესებულებების მიმართ

- ერთსა და იმავე სამედიცინო დაწესებულების მიმართ შემოწმების შედეგად წარმოქმნილი 181,809 ლარის დებიტორული დავალიანება აღრიცხულია 2-ჯერ;
- 2016 წელს 4 (ოთხი) სამედიცინო დაწესებულებას დაფარული აქვს 107,894 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში;
- აქტები, რომლებიც მიეკუთვნება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, სააგენტოში აღრიცხულია 2017 წელს თანხით 5,343,528 ლარი.

აღნიშნული გამოწვეულია სამინისტროს სისტემაში სააღრიცხვო ციკლის კონტროლის სისტემის სისუსტეებით და ზოგიერთ შემთხვევაში კონტროლის არარსებობით. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში მიმწოდებლის ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობის კონტროლს, ახორციელებს სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტი, ხოლო რევიზიას, რომელიც ითვალისწინებს მიმწოდებელ დაწესებულებაში პროგრამული შემთხვევის სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას, ახორციელებს რეგულირების სააგენტო. ორივე შემთხვევაში დგება შემოწმების აქტი, რომლის საფუძველზე მიმწოდებელს ეკისრება ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა. რევიზიის შემთხვევაში დარიცხული თანხების ადმინისტრირებას ახორციელებს რეგულირების სააგენტო, ხოლო დავალიანების აღრიცხვას - სააგენტო, რომელიც მოცემული პროგრამების განმახორციელებელია. კონტროლის შემთხვევაში დარიცხული თანხების ადმინისტრირებასა და დავალიანების აღრიცხვას ახორციელებს სააგენტო. არის შემთხვევები, როდესაც სააგენტოს ბუღალტერიისათვის პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, შემოწმების აქტები) მიწოდება დროულად არ ხდება, რაც იწვევს ზემოთ აღნიშნულ უზუსტობებს.

ერთი მხრივ, მოცემული უზუსტობების შედეგად ხარჯვითი ოპერაცია გაზრდილად არის წარმოდგენილი და იწვევს ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლის ხელოვნურ ზრდას. ამასთანავე, მოცემული გარემოება წარმოშობს მხარჯავი დაწესებულების მხრიდან დაგეგმვის ეტაპზე საბიუჯეტო ასიგნებაზე დაუსაბუთებელი მოთხოვნის რისკებს. მეორე მხრივ, სამედიცინო დაწესებულებებზე დარიცხული ჯარიმები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს და მისი ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხაობა ზრდის საპროგნოზო ფისკალური პარამეტრების განუსაზღვრელობის ხარისხს.

მოთხოვნები საქონელი და მომსახურების მიწოდებიდან

ფინანსურ ანგარიშგებაში ხელშეკრულების პირობების⁴ დარღვევის გამო, დაკისრებული პირგასამტეხლო მოთხოვნები ნაცვლად 1,331 ლარისა, ასახულია 66,550 ლარი, რაც გამოწვეულია აღრიცხვაში დაშვებული შეცდომით.

უზუსტობების გამო, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 4,988,606 ლარით⁵.

⁴ 2015 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული №3/3504/82 ხელშეკრულება.

⁵ ინსტრუქცია, მუხლი 27, პუნქტი 1; მუხლი 28, პუნქტი 2.

1.2.2 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში (ბალანსი) არ არის ასახული:

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 2015 წლის საწევრო გადასახადის მიხედვით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება - 230,728 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით, რომელიც 2015 წლის 31 დეკემბერს არსებული კურსით შეადგენდა 557,485 ლარის ეკვივალენტს, ხოლო გადახდის მომენტისათვის (2016 წლის 15 თებერვალი) არსებული კურსით - 587,503 ლარს, კურსთაშორისმა სხვაობამ შეადგინა 30,018 ლარი. მოცემული დავალიანების საფუძველია 2015 წელს საქართველოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის 2019 წლამდე საწევრო გადასახადის გადახდის შეთანხმებული გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურად როგორც მიმდინარე წლების, ისე ძველი დავალიანების დაფარვას და რომლის გათვალისწინება შესაძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.
- „რეფერალური მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში 2015 წლის 17 სექტემბერს სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე წარმოშობილი ფინანსური ვალდებულება 408,217 ლარის ოდენობით;
- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2016 წლის დეკემბერში ასანაზღაურებელი შემთხვევების მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სამედიცინო დაწესებულებების მიმართ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება სულ - 8,571,895 ლარი. აღნიშნული დავალიანების მოცულობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 50%-ით.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) სხვა მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების საწყისი ნაშთი შემცირებულია 965,702, ხოლო საბოლოო - 8,571,895 ლარით⁶.

აუდიტის ობიექტის განმარტებით, ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულების აღურიცხაობის მიზეზია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვით ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებისა. სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმი ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება საერთაშორისო ხელშეკრულებას⁷. შესაბამისად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მემორანდუმის საფუძველზე საწევრო გადასახადის ვალდებულება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. რაც შეეხება „რეფერალური მომსახურების“ და „საყოველთაო ჯანმრთელობის“ პროგრამების ფარგლებში 2015 და 2016 წლებში მიწოდებულ მომსახურებას, მისი დაფინანსების წყარო „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“⁸ და „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“⁹ საქართველოს კანონებით დამტკიცებული ასიგნებები. აღნიშნული კანონები ოფიციალურად გამოქვეყნდა, შესაბამისად, 2015 წლის 24 დეკემბერს და 2016 წლის 14 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2016 წლის და 2017 წლის პირველი იანვრიდან. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის, მოცემულ პროგრამებზე 2015 და 2016 წლებში მიწოდებული მომსახურების მიხედვით, ფინანსური ვალდებულების აღების შესაბამისობის საფუძველი არსებობდა. შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) სხვა

⁶ ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ო“; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო, თავი 9, მუხლი 9.13.

⁷ საქართველოს კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებების“ შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი „ა“.

⁸ საქართველოს კანონი საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მუხლი 28, პუნქტები 8 და 9.

⁹ საქართველოს კანონი საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, 28, პუნქტები 8 და 9.

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების საწყისი ნაშთი შემცირებულია 965,702 ლარით, ხოლო საბოლოო - 8,571,895 ლარით¹⁰.

ვალდებულებების არასრულად (შემცირებულად) ასახვა ზრდის ფინანსური ანგარიშგების იმ მომხმარებლების მხრიდან (პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო) არასწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც აფასებენ სამინისტროს მიერ მომსახურების მიწოდების ადეკვატური დონის შენარჩუნებას. ვალდებულება იწვევს ხარჯების ზრდას და აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე ვალდებულებების თაობაზე არასრულად (შემცირებულად) წარმოდგენილი ინფორმაცია იწვევს სამინისტროზე გასანაწილებელი საბიუჯეტო რესურსის შესახებ არაადეკვატური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და საფრთხის წინაშე აყენებს ბენეფიციარებისათვის მოცემული პროგრამების მიხედვით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების მიწოდების შესაძლებლობას.

1.2.3 არაფინანსური აქტივები

დუშეთის რაიონში, სოფელ ჩანადირებში 4,979 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ღირებულებით 138,714 ლარი და მასზე განთავსებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობები - ღირებულებით 335,903 ლარი¹¹, აღნაგობის უფლებით გაცემული ჰქონდა სამინისტროს კონტროლირებულ სსიპ - ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ცენტრს, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა 2015 წლის 19 ოქტომბერს, რის გამოც შეწყდა აღნაგობის უფლების რეგისტრაცია და ქონება 2015 წლის 17 ნოემბერს დაუბრუნდა სახელმწიფოს¹². აღნიშნული ოპერაცია სამინისტროს (სსიპ - ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის სამართალმემკვიდრე), მიერ არ იქნა გათვალისწინებული კონსოლიდაციის პროცესში, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 და დანართი №5) არაფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი გაიზარდა 474,617 ლარით¹³.

1.2.4 ხარჯები

შრომის ანაზღაურება

- სააგენტოში დანამატის გაცემის ფორმალურ საფუძველია მოხსენებითი ბარათი და ხელმძღვანელის ბრძანება. ვერ იქნა წარმოდგენილი დანამატის გაცემის მატერიალური კანონიერების¹⁴ (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის აუდიტორული მტკიცებულება;
- სააგენტოში 2016 წელს საშუალოდ 342 თანამშრომელზე (თანამშროლთა ფაქტობრივი რიცხოვნების 20%) ყოველ თვეში გაიცემოდა დანამატი. აღნიშნული მოვლენა თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს, ვიდრე დანამატის;
- შეუსაბამოა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილების მოთხოვნებთან:
 - ცენტრალურ აპარატსა და სააგენტოში შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან (სადღესასწაულო) დაკავშირებით, პრემია გაცემულია წელიწადში 4-ჯერ; დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსით

¹⁰ ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ო“; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო, თავი 9, მუხლები 9 და 13.

¹¹ საკადასტრო კოდი 71.56.23.246.

¹² 2015 წლის 17 ნოემბრის განცხადება №882015657673.

¹³ ინსტრუქცია, მუხლი 44, პუნქტი 1.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია მეთოდული განმარტებები, დანამატი (211114) და საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 58.

გათვალისწინებულ უქმე დღეებთან დაკავშირებით პრემია შეიძლება გაიცეს წელიწადში არა უმეტეს 3-ჯერ;

- ცენტრალურ აპარატში დასაქმებულ პირებზე კვარტალში 2-ჯერ და 3-ჯერ გაცემულია პრემია. დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ;
- სააგენტოში არ არის წარმოდგენილი ხელმძღვანელი პირების მოხსენებითი ბარათები გაცემულ პრემიაზე, სადაც დასაბუთებული იქნებოდა პრემიის გაცემის საფუძვლები.

აღნიშნული წესის შეუსაბამოდ გაცემულმა პრემიის ოდენობამ შეადგინა 938,228 ლარი.

სამედიცინო ხარჯები

„იმუნიზაციის პროგრამის“ ფარგლებში ცენტრალური საწყობიდან ტერიტორიულ სამსახურზე მარაგების გაცემა აღრიცხულია, როგორც პერიოდის ხარჯი. არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გამო, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1-ში) შემცირებულად არის წარმოდგენილი სხვა მატერიალური მარაგების და აქტივების წმინდა ღირებულების ანგარიშების საწყისი ნაშთი 1,242 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 168,294 ლარით¹⁵. მოცემული უზუსტობა დაკავშირებულია სააღრიცხვო პოლიტიკის არასწორად შერჩევასთან და შედეგად გაზრდილია ხარჯები ფორმა №2 -ში, რომელიც საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

1.2.5 საცნობარო მუხლი

ბალანსის საცნობარო მუხლში „პირობითი მოთხოვნები“ (05) არ არის აღრიცხული 2016 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის: დახმარების ცენტრის მიხედვით - 56,462 ლარის, ხოლო სააგენტოს მიხედვით - 486,758 ლარის ოდენობით, სულ 543,220 ლარი. საცნობარო მუხლში „პირობითი ვალდებულებები“ (06) არ არის აღრიცხული 2016 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ვალდებულებები: დახმარების ცენტრის მიხედვით - 20,000 ლარის, ხოლო სააგენტოს მიხედვით - 1,689,813 ლარის ოდენობით სულ - 1,709,813 ლარი.

შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელი არ არის უზრუნველყოფილი დამატებითი ინფორმაციით იმ პირობითი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც საბალანსე მუხლებს არ წარმოადგენენ და შესაბამისი პირობის არსებობის (სასამართლო გადაწყვეტილების) შემთხვევაში, შეუძლია გავლენა იქონიონ აუდიტის ობიექტის ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (დანართი №1) საცნობარო მუხლში „პირობითი მოთხოვნები“ (05) შემცირებულია საბოლოო ნაშთი 543,220 ლარით, ხოლო „პირობითი ვალდებულებები“ - საბოლოო ნაშთი, 1,709,813 ლარით¹⁶.

აღნიშნული პირობითი ინსტრუმენტების ასახვა მნიშვნელოვანია ფინანსური პოლიტიკისა და ანალიზისთვის, ვინაიდან იძლევა ინფორმაციას პოტენციური აქტივების და პოტენციური ვალდებულებების შესახებ. აქედან გამომდინარე, პირობითი ინსტრუმენტების მართვა, ინვენტარიზაცია მათი საცნობარო მუხლში რეგისტრაციის გარეშე შეუძლებელია, რადგან მათ შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სხვა არც ერთ კომპონენტში არ არის ასახული. ამასთანავე, აღრიცხვაში მათი გამოტოვება და აქედან გამომდინარე, კონტროლის არარსებობა ქმნის სხვადასხვა სახის მანიპულაციის შესაძლებლობას.

¹⁵ ინსტრუქცია, მუხლი 54, პუნქტი 3 და მუხლი 46, პუნქტი 4.

¹⁶ ინსტრუქცია, მუხლი 63, პუნქტი 6 და პუნქტი 7.

1.2.6 განმარტებითი შენიშვნები

სამინისტრო არის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“¹⁷ 100%-იანი წილის მმართველი¹⁸, შესაბამისად, ის კონტროლირებული ერთეულია. შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის¹⁹ კრებისით ფინანსური ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით არ არის ასახული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც წარმოდგენილია შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში²⁰, რომლის მიხედვით ბალანსზე აღრიცხულია 18,584,265 ლარის შენობა-ნაგებობები და 1,727,376 ლარის ღირებულების სპეციალური სამედიცინო ინსტრუმენტები, ასევე ერთობლივი შემოსავალი, რომელიც შეადგენს 12,003,358 ლარს, ხოლო ხარჯი - 12,676,968 ლარს²¹.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ნაკლოვანებების მიმოხილვა

- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამინისტროში შრომის ანაზღაურების ხარჯის ნაწილში ასიგნებამ შეადგინა 31,491,000 ლარი, რომელიც 3,239,000 ლარით ნაკლებია საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილზე. შემცირება ძირითადად (64%) შეეხო მოცემული ხარჯის პრემია-დანამატის ელემენტს. 2016 წელს სამინისტროს მიერ პრემიის სახით გაწული ხარჯი 3,049,000 ლარით აღემატებოდა დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე განხორციელებულ საბიუჯეტო განწერის შესაბამის მაჩვენებელს. ანალოგიური მდგომარეობაა დანამატის შემთხვევაში, სხვაობამ შეადგინა 2,474,000 ლარი. ე.ი. დაზუსტებული ბიუჯეტის საფუძველზე, 2016 წელს პრემია-დანამატის ფაქტობრივი ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილი იყო სულ 5,523,783 ლარით. ამ მიზნით რესურსი მოზიდულ იქნა სხვა პროგრამებიდან/ქვეპროგრამებიდან და საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან. აღნიშნული რესურსის წყაროს წარმოდგენდა ვაკანტური თანამდებობების (წლის განმავლობაში ცენტრალურ აპარატში ვაკანტური თანამდებობების რაოდენობამ შეადგინა - 44 , ფონდში - 32, ცენტრში - 11, ხოლო სააგენტოში - 250 ერთეული) ხარჯზე „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლში წარმოქმნილი ეკონომია - 4,439,000 ლარის ოდენობით, ხოლო 1,098,000 ლარი გადანაწილებულ იქნა ამავე პროგრამის (35 01) საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან და სხვა პროგრამებიდან. მოცემული განაწილების აუცილებლობა დადგა საბიუჯეტო წლის ბოლოს და განხორციელდა 27 დეკემბერს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების (ცნობა №1555) საფუძველზე, რომელიც მიმართული იყო ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის;
- **საბიუჯეტო კლასიფიკაცია - ხარჯის მუხლი „გრანტები“** - ცენტრის მიერ საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილია 300,000 ლარი, საიდანაც დამტკიცდა მხოლოდ 50,000 ლარი. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული განმარტება, რა კონკრეტულ გარემოებებს და გათვლებს ეფუძნებოდა მოცემული საბიუჯეტო პარამეტრი. ამასთან დაკავშირებით აუდიტის ობიექტის განმარტება ძალიან ზოგადია და მაღალი განუსაზღვრელობით ხასიათდება. ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არ იყო იდენტიფიცირებული ის ღონისძიებები, რომელთა დასაფინანსებლად იქნებოდა მიმართული აღნიშნული რესურსი. შედეგად,

¹⁷ საიდენტიფიკაციო კოდი: 236035517.

¹⁸ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის V თავი.

¹⁹ საიდენტიფიკაციო კოდი: 236035517.

²⁰ შპს tgs-kkgroun-ის აუდიტორული დასკვნა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

²¹ ინსტრუქცია, მუხლი 25, პუნქტი 9.

დამტკიცებული რესურსის 83% ფინანსთა სამინისტროს თანხმობით გამოყენებულია სულ სხვა ღონისძიების - ცენტრის თანამშრომელთა პრემიების დასაფინანსებლად;

- **მივლინება - თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე განხორციელებული საბიუჯეტო განწერის მიხედვით, ცენტრალური აპარატის „ქვეყნის გარეთ მივლინების“ მუხლით გათვალისწინებულმა ასიგნებამ შეადგინა 30 000 ლარი, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით - 131,720 ლარი, საკასო ხარჯმა ამ მუხლის მიხედვით კი შედგინა 131,720 ლარი, რომელზეც მივლინებული თანამშრომლების მიერ არ არის წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათები (ანგარიშები) მივლინების შედეგების შესახებ, რითაც დადასტურდებოდა მოცემული ხარჯის მიზნობრიობა.**

საკასო ხარჯი - მივლინება ქვეყნის გარეთ:

ხარჯის დასახელება	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
მივლინება ქვეყნის გარეთ	52,756.69	46,050.69	84,193.35	131,720.00

2.2 შესყიდვები

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი (EMERGENCY)

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამით განისაზღვრა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობისათვის²² საჭირო საპროექტო მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის²³ საფუძველზე, სამინისტროს ნება დაერთო საპროექტო მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებინა. აღნიშნული დისკრეციის საფუძველად მითითებული იყო შემდეგი გარემოებები: პანკისის ხეობაში მოსახლეობის ამბულატორიაში მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებელი და დროული, ხარისხიანი სამედიცინო სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე ბაზრის კვლევის განხორციელების მიზნით, შეთავაზება გაეგზავნა 8 პროფილურ და გამოცდილ კომპანიას, საიდანაც მხოლოდ 5-მა წარმოადგინა წინადადება. 2016 წლის 19 მაისს გამარტივებული წესით²⁴ გაფორმდა ხელშეკრულება შპს „გრე ჯგუფთან“, რომელიც არ ფიგურირებდა ბაზრის კვლევაში მონაწილე კომპანიებს შორის და რომელსაც შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, გააჩნდა მხოლოდ სარწყავი და სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოების (ჯამური ღირებულებით 71,394 ლარი) შესრულების გამოცდილება. საკონტრაქტო ღირებულებამ შეადგინა 20,000 ლარი, რომელიც 800 ლარით ნაკლები იყო ბაზრის კვლევის ეტაპზე შპს „მედპროექტის“²⁵ მიერ შემოთავაზებულ ფასზე.

²² 2016 წლის აპრილში ახმეტის მუნიციპალიტეტიდან, კახეთის გუბერნატორის შუამდგომლობით, სამინისტროში შემოსულია წერილი რეგიონში სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების არსებობის საჭიროების შესახებ. შუამდგომლობის საფუძველი იყო პანკისის ხეობაში მოსახლეობის ამბულატორიაში მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებელი და დროული, ხარისხიანი სამედიცინო სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

²³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

²⁴ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2016 წლის 11 მაისის მთავრობის დადგენილება №205.

²⁵ შპს „მედპროექტმა“ ბაზრის კვლევის ეტაპზე წარმოადგინა ყველაზე დაბალი ფასი.

2016 წლის 7 ივლისს სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. შესყიდვის საგნის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 687,125 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2-მა კომპანიამ. გამარჯვებულად გამოვლინდა უმცირესი ფასით სატენდერო წინადადების წარმოდგენი - შპს „ყვარელმშენ 52“ და მასთან 2016 წლის 26 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 668,930 ლარი.

მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შეთანხმების ეტაპზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში არ იყო გათვალისწინებული მშენებლობისთვის ხელშემშლელი ფაქტორი, კერძოდ: წყლის ცენტრალური მაგისტრალის 600 მმ მილის არსებობა, რითაც მარაგდებოდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლები და რომელზეც პროექტით გათვალისწინებული იყო შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. პრობლემა გამოვლინდა უშუალოდ მშენებლობის პროცესში, რის გამოც საჭირო გახდა ნაგებობის მშენებლობის გადაწევა 8 მეტრით და შესაბამისად, წითელი ხაზების ცვლილება. აღნიშნულმა მოითხოვა დამატებითი სამუშაოების განხორციელება, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სამუშაოების დასრულების ვადების გაჭიანურება და კონტრაქტის ღირებულების ზრდა 31 073 ლარით.

საშემსყიდველო პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების და კონტოლის მექანიზმების არაეფექტიანობამ გამოიწვია მშენებლობის გაჭიანურება (დღემდე მშენებლობა დაუსრულებელია). კერძოდ:

- სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო ქვეკონტრაქტორების არსებობის შესაძლებლობა, მაგრამ არ იყო რეგლამენტირებული პროექტის მთლიან მოცულობაში ქვეკონტრაქტორების მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და სახე. ამ შემთხვევაში მომწოდებელს უნდა წარმოედგინა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების შესახებ. შპს „ყვარელმშენ 52-ს“ არ გაუმყდავებია ქვეკონტრაქტორების არსებობა და შესაბამისად, არ წარმოუდგინა მათი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია. რეალურად კი სამუშაოთა სრული მოცულობა შესრულებულია ქვეკონტრაქტორ შპს „კვარფორტეს“ მიერ, რომელსაც შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციით, არ გააჩნდა არანაირი გამოცდილება მშენებლობის სფეროში. შპს „ყვარელმშენ 52-სა“ და შპს „კვარფორტეს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობით²⁶, შპს „ყვარელმშენ 52-ის“ მომსახურების სანაცვლოდ, კომპენსაცია შეადგენდა 26,757 ლარს. იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომ ხარჯთაღრიცხვა მზადდება (გათვლილია) სამუშაოთა უშუალოდ შემსრულებლისათვის და მასში არ არის გათვალისწინებული გენერალური მოიჯარის საკომისიო მარჟა, გარკვეული სახის სამუშაოები არაჯეროვნად (უხარისხოდ) და ვადების გაჭიანურებით, ხოლო ზოგიერთი სახის სამუშაო საერთოდ არ შესრულდა;
- მოცემული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტის, რომლის შეზღუდულ ვადებში დასრულების პრიორიტეტულობა განისაზღვრა მთავრობის სამართლებრივი აქტით, ხელშეკრულებით მიწოდების ვადების დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო დისკრეციის მიზნებთან შეუსაბამო სანქცია - 0,01% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

კონტრაქტით სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადად განსაზღვრული იყო 2016 წლის 27 დეკემბერი. წარმოდგენილი მტკიცებულებების (შპს „მშენექსპერტის“ და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნები, ინსპექტირების ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები) მიხედვით, მოცემული თარიღისათვის ფაქტობრივად

²⁶ 2016 წლის 27 ივლისის ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულება, მუხლი 7, პუნქტი 4.

შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 655,007 ლარი, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 94%. მიწოდების ვადის დარღვევისათვის მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო და სამუშაოთა დასრულებისათვის მიეცა ვადა 2017 წლის 25 თებერვლამდე. შპს „ყვარელმშენ 52-ის“ მიერ ამ პერიოდში მხოლოდ ნაწილობრივ იქნა უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულება, რის შემდეგაც სამინისტრომ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და სასამართლოში შეიტანა სარჩელი მისთვის 88,729 დაკისრების თაობაზე (სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა). მშენებლობის დაწყებიდან წელიწადისა და 6 თვის შემდეგ მშენებლობა დაუსრულებელია.

ქ. ზუგდიდის C ჰეპატიტის სკრინინგცენტრი

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამით განისაზღვრა ქ. ზუგდიდში სკრინინგცენტრის მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო/საექსპერტო მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, რომელთა ბიუჯეტი შესაბამისად შეადგენდა: 30,000 და 1,100,000 ლარს.

სამინისტრო სკრინინგცენტრის სამშენებლო სამუშაოების შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელების უფლებამოსილებით აღიჭურვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის²⁷ შესაბამისად, მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №256 დადგენილების საფუძველზე. მოცემული უფლებამოსილების მოპოვების მიზნით, აღნიშნული ღონისძიების შეზღუდულ ვადებში განხორციელების აუცილებლობის დასაბუთებაში მითითებული გარემოებები არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 1,023,951 ლარს, ხოლო პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრა 12 თვით. სამინისტროს მიერ შესყიდვების სააგენტოსადმი წარდგენილ დასაბუთებაში სამუშაოების დასრულების ვადად მითითებული აქვს 3-3.5 თვე.

დასაბუთებაში ასევე მითითებული იყო, რომ საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიწოდებული იქნებოდა 2016 წლის მაისისთვის, მაშინ როდესაც, ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „მედაპროექტთან“ 24 მაისს, ხელშეკრულების გაფორმებიდან მომსახურების მიწოდების 30-დღიანი პირობით, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2016 წლის 7 ივლისს.

გარემოებები, რის გამოც გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სკრინინგცენტრის მშენებლობა შეზღუდულ ვადებში ვერ განხორციელდა:

- 2016 წლის 12 ივლისს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ფუნდაშენთან“ და კონტრაქტის ღირებულებამ შეადგინა 1,023,594 ლარი. მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 31 ნოემბერი (4,5 თვე), სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდება კი განხორციელდა 2017 წლის 20 ივნისს (11 თვის შემდეგ);
- აღნიშნული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტის, რომლის შეზღუდულ ვადებში დასრულების პრიორიტეტულობა დადგინდა მთავრობის სამართლებრივი აქტით, მიწოდების ვადების დარღვევისათვის განისაზღვრა არაპროპორციული სანქცია 0,01%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- პროექტის ტექნიკური დავალებით და მის საფუძველზე შედგენილი თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული ახალი სამუშაოები და მოცულობები

²⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

(ღირებულებით - 245 963 ლარი), რომლის შესრულებაც დადასტურდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით და რომელიც არ იყო შეთანხმებული ხელშეკრულებით. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს დაპროექტების და სამშენებლო პროცესის მონიტორინგის ნაკლოვანებებზე, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მშენებლობის ვადების გაჭიანურება;

- აღნიშნული პროექტი სრულად შესრულებულია ქვეკონტრაქტორების მიერ, ამასთანავე, ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა მენარდის ვალდებულებას (ქვეკონტრაქტორი) - შესრულებული სამუშაოს ღირებულების 4%-ის გადახდას დამკვეთისთვის (შპს „ფუნდაშენი“), რომელმაც შეადგინა 40,944 ლარი. არსებული პრაქტიკის მიხედვით, ხარჯთაღრიცხვა მზადდება (გათვლილია) სამუშაოთა უშუალოდ შემსრულებლისათვის და მასში არ არის გათვალისწინებული გენერალური მოიჯარის საკომისიო მარჟა. აღნიშნულმა ნაწილობრივ იმოქმედა მშენებლობის ხარისხზე, კერძოდ, მშენებლობის პროცესში ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაო, რომლის გამოსწორებაც გახდა მშენებლობის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი.

2.3 იმუნიზაციის პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია: „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის²⁸ მიზანია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან (B ჰეპატიტი, წითელა, ცოფი და სხვ.). პროგრამის განმახორციელებელია ცენტრი, რომელიც საქონლის მიწოდებას სამედიცინო დაწესებულებებისთვის ახორციელებს რეგიონული/მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების (შემდგომში - სჯდ) მეშვეობით. მართვადი ინფექციებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ცოფის ვირუსი. ცოფის პროფილაქტიკისთვის გამოიყენება კომბინირებული იმუნოთერაპია²⁹ ვაქცინითა და იმუნოგლობულინით.

ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს პროდუქტის საქართველოს ბაზარზე³⁰ დაშვება, როდესაც სახელმწიფო რეგისტრაცია ხორციელდება აღიარებითი და ეროვნული რეჟიმით.

აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაციის დროს სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისო ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ ფარმაცევტული პროდუქტის მიმართ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზრებზე დაშვებისათვის უსაფრთხოების, ეფექტიანობის და ხარისხის მოთხოვნებს ცალმხრივად აღიარებს საქართველო და ამ მიზნით არ ახორციელებს განმეორებით ექსპერტიზას. ამ დროს ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისო მარეგულირებელი ორგანოს დიფერენცირება ხდება სანდოობის, საკუთარ ბაზარზე მხოლოდ მაღალი ხარისხის ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების უნარის მიხედვით. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა³¹ ადგენს ქვეყნების და სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიას.

²⁸ საქართველო მთავრობის დადგენილება №660, 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ.

²⁹ კომბინირებული ანუ პასიურ-აქტიური იმუნოთერაპია - აქტიურია ცოფის ვაქცინა, რომელიც ცოფის დასუსტებულ ვირუსს შეიცავს და 10-14 დღის შემდეგ ორგანიზმში ცოფის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამომუშავებას განაპირობებს; პასიურია იმუნოგლობულინი. ის მზა ანტისხეულებისაგან შედგება და უფრო ადრე იწყებს ვირუსთან ბრძოლას, ვიდრე აცრის შედეგად გამომუშავებული ანტისხეულები. იმუნოგლობულინი უმთავრესად საშიში ლოკალიზაციის ღია ჭრილობების დროს გამოიყენება.

³⁰ საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“.

³¹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება N188.

ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციას ექვემდებარება საქართველოსა და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი. მოცემულ შემთხვევაში, ფარმაცევტული პროდუქტის სტანდარტიზაციის, ხარისხის, უსაფრთხოებისა და თერაპიული ეფექტიანობის დადგენის მიზნით ხორციელდება დეტალური მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზა.

ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით განსაკუთრებულ შემთხვევებში არაკომერციული მიზნით (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივად დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება, ჰუმანიტარული დახმარება და აგრეთვე სხვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობა) დაშვების (რეგისტრაციის) რეჟიმების გვერდის ავლით შესაძლებელია *ფარმაცევტული პროდუქტის ერჯერადი იმპორტი*. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება ეფუძნება ხარისხის შესაბამისობის მინიმალურ მოთხოვნებს. ამ დროს ხარისხის ვერიფიკაცია (დადასტურება) ხორციელდება სამკურნალო საშუალების ხარისხის სერტიფიკატის ასლის ან/და სამკურნალო საშუალების საერთაშორისო სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი საბუთის წარდგენის და საჭიროების შემთხვევაში, სამკურნალო საშუალების ხარისხის ლაბორატორიული დადასტურების საფუძველზე.

2.3.1 ანტირაბიული იმუნოგლობულინი

2016 წლის 22 იანვარს ცენტრის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი იმუნოგლობულინის 30600 (5 მგ) დოზის შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 1,630,062 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით შეთავაზებულ ფარმაცევტულ პროდუქტს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნა: *„ფარმაცევტული პროდუქტი რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (რეგისტრირებული აღიარებითი ან ეროვნული რეჟიმით), ამასთან პროდუქტი რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის N188 დადგენილების დანართში აღნიშნული ქვეყნების ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ და დაშვებული უნდა ყოფილიყო ამავე დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის ბაზარზე ან უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული FDA³² და/ან EMA³³-ს მიერ.“*

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კომპანიამ, ფრანგულმა მწარმოებელმა კომპანია „სანოფი პასტერმა“, რომელთანაც 2016 წლის 1 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება იმუნოგლობულინის, კომერციული დასახელებით - „ფავირაბის“, მიწოდების თაობაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 1,630,062 ლარი. ხელშეკრულების პირობის დაცვით, 2016 წლის აგვისტომდე „სანოფი პასტერის“ მიერ მიწოდებულ იქნა 13,746 დოზა. იმის გამო, რომ იგვიანებდა იმუნოგლობულინის წარმოებაზე ნებართვის გაცემის პროცედურა საფრანგეთის ეროვნულ მარეგულირებელი ორგანოს მიერ, 2016 წლის 18 აგვისტოს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შპს „ჯი-პი-სისტან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შესყიდულ იქნა 6000 (დაახლოებით, 3 თვის მარაგი) დოზა იმუნოგლობულინი „ვინრაბი“, რომლის საქართველოს ბაზარზე დაშვება განხორციელდა ერთჯერად იმპორტზე ნებართვის საფუძველზე. საფრანგეთის მარეგულირებელ ორგანოებში იმუნოგლობულინის წარმოებაზე ნებართვის გაცემის პროცედურის დაგვიანების³⁴ გამო, 2016 წლის 7 ოქტომბერს მხარეთა შეთანხმებით შეწყდა კომპანია „სანოფი პასტერთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.

აღნიშნული გარემოების გამო, ცენტრმა 2016 წლის 17 ოქტომბერს მრავალწლიან შესყიდვაზე გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ანტირაბიული იმუნოგლობულინი 2,002,350 კილოგრამი წონისათვის საჭირო მოქმედი ნივთიერების საერთაშორისო ერთეულების (ს.ე.) რაოდენობით,

³² ამერიკის სურსათის და წამლის ადმინისტრაცია.

³³ ევროპის წამლის სააგენტო.

³⁴ 2016 წლის 26 ივლისის „სანოფი პასტერის“ წერილი №01/25-8618.

სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 1,902,392 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 3 პრეტენდენტმა და გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია“, რომელთანაც 2016 წლის 25 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 1,459,312 ლარი. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული იყო ანტირაბიული იმუნოგლობულინი კომერციული დასახელებით - „პრემირიგი“, რომელზეც იმ მომენტში მიმდინარეობდა და არ იყო დასრულებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციის პროცედურები³⁵. აუდიტის შედეგად დადგინდა კონკრეტულ შესყიდვასთან დაკავშირებული რისკები:

- აღნიშნული პრეპარატის მიწოდების შესაძლებლობა დაშვებულ იქნა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ერთ-ერთი მოთხოვნით, რომლის მიხედვით, „პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა მოსაწოდებელი საქონლის საქართველოში რეგისტრაციის დოკუმენტი ან 2016 წელს მოსაწოდებელ საქონელზე წერილობითი ვალდებულება, რომ სამინისტროში გონივრულ ვადაში წარადგენდა შესაბამის დოკუმენტებს, რაც აუცილებელია შემსყიდველის შუამდგომლობის საფუძველზე ერთჯერად იმპორტზე“³⁶ ნებართვის მისაღებად, ხოლო 2017-2018 წლებში მოსაწოდებელ საქონელზე წარადგენდა წერილობით ვალდებულებას „საქონლის“ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციისათვის, აუცილებელი პროცედურების განხორციელების შესახებ.“ მოცემული მოთხოვნით, ერთი მხრივ, გაფართოვდა პოტენციურ მიმწოდებელთა არეალი, ვინაიდან დაშვებულ იქნა დაურეგისტრირებელი პრეპარატის მიწოდების შესაძლებლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, გაიზარდა მისაწოდებელი სამკურნალო საშუალების ხარისხთან დაკავშირებული რისკები. ამ შემთხვევაში დაურეგისტრირებელი პრეპარატის ერთჯერად იმპორტზე თანხმობის თაობაზე კომისიის გადაწყვეტილება ეფუძნება ხარისხის შესაბამისობის მინიმალურ სტანდარტებს. ამასთანავე, მოთხოვნის ასეთი სახით ჩამოყალიბება გარკვეულ განუსაზღვრელობასთან არის დაკავშირებული, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იმუნოგლობულინი „პრემირიგის“ მიხედვით, ტენდერის გამოცხადების თარიღისათვის მიმდინარე რეგისტრაციის პროცედურები 2017 წლის 7 თებერვალს დასრულდა რეგისტრაციაზე უარის თქმით³⁷, ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი სრულყოფილი კლინიკური³⁸ მონაცემები კონკრეტული იმუნობიოლოგიური პრეპარატის ეფექტურობის³⁹, უსაფრთხოების⁴⁰ და გვერდითი ეფექტების შესახებ;

³⁵ კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, მუხლი 1¹, პუნქტი 20 - ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის პროცედურა, რომლის საფუძველზეც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ნებადართულია ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე მიმოქცევა.

³⁶ მინისტრის 2009 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №327/ნ - განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივად დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება) ჰუმანიტარული მიზნით, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობისას, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობით საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების რეჟიმების გვერდის ავლით, არაკომერციული მიზნით შემოტანა

³⁷ რეგულირების სააგენტოს პრეპარატის რეგისტრაციის უარის 2017 წლის 7 თებერვლის წერილი №02/7431 – „არ იქნა წარმოდგენილი კლინიკური მონაცემები - ინდიკატორები ცნობილ პრეპარატებზე არ ტარდებოდა III ფაზის კლინიკური კვლევა“.

³⁸ კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, მუხლი 1¹, პუნქტი 45 - ფარმაცევტული პროდუქტის კლინიკური კვლევა (გამოცდა, გამოკვლევა) – ფარმაცეპტული საშუალების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლა არასასურველი რეაქციების დადგენის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების ხარისხის შეფასების მიზნით.

³⁹ კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, მუხლი 1¹, პუნქტი 17 - ფარმაცევტული პროდუქტის ეფექტიანობა – დაავადების მიმდინარეობაზე ფარმაცევტული პროდუქტის დადებითი ზემოქმედების მეცნიერული მეთოდებით დადგენილი ხარისხის მაჩვენებელი.

⁴⁰ კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, მუხლი 1¹, პუნქტი 23 - ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოება – ფარმაცევტული პროდუქტის ეფექტიანობისა და ზიანის გამოწვევის რისკის შეფასების შედარებით ანალიზზე დამყარებული მაჩვენებელი.

- ხელშეკრულებით 2016 წელს მისაწოდებელი მოცულობის (16 854 ფლაკონის) მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 30 ნოემბერი, რომლის ლეგალური საფუძველი გახდა კომისიის 2016 წლის 29 ნოემბრის დასკვნით მიღებული გადაწყვეტილება - ნებართვის გაცემა შპს „ეი-ბი-სი ფარმაციისთვის“ მოცემული რაოდენობის პრეპარატის ერთჯერად იმპორტზე. 30 ნოემბერს განხორციელდა სრული მოცულობით, 16 854 ფლაკონის მიწოდება (სერია N271001, ვადა 10.2018). საქონლის მიღების დროს განხორციელებული ინსპექტირებით დადგინდა, რომ საქონლის ტრანსპორტირებისას არ იყო დაცული „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის მოთხოვნები. კერძოდ: სატრანსპორტო ყუთებში მოთავსებული იყო ყინულის ელემენტები, თუმცა არც ერთ ყუთში არ ეწყო გაყინვის ინდიკატორები ან ტემპერატურული რეჟიმის კონტროლის სხვა მოწყობილობები, რომლებიც დაადასტურებდა ტრანსპორტირების ყველა ეტაპზე შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების („ცივი ჯაჭვი“) დაცვას. ამის გამო, მოცემული პარტია დაწუნებულ იქნა და დაუბრუნდა მიმწოდებელს. იმის გამო, რომ ქვეყანა რჩებოდა იმუნოგლობულინის სტრატეგიული მარაგის გარეშე⁴¹, 5 დეკემბერს გამარტივებული წესით გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ჯი-პი-სისთან“ 5 000 ფლაკონის ანტირაბიული იმუნოგლობულინის კომერციული დასახელებით - „ვირნაბის“ შესყიდვაზე, რომლის მიხედვით ერთეულის ღირებულებამ შეადგენა 25.60 ლარი და კონტრაქტის ჯამური მოცულობიდან გამომდინარე, 36,895 ლარით აღემატებოდა მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ეი-ბი-სი ფარმაციის“ ფასს. ამასთანავე, აღნიშნული პრეპარატის ერთეულის ღირებულება შპს „ჯი-პი-სის“, ზემოაღნიშნული ტენდერის მიხედვით შემოთავაზებული ჰქონდა 18,22 ლარად. არ არსებობდა შპს „ეი-ბი-სი ფარმაციის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან შესაბამისი პირობა (დათქმა) არ იყო შეთანხმებული ხელშეკრულებით, მაშინ როდესაც, ანალოგიური შემთხვევის დადგომის დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გათვალისწინებული იყო სატენდერო დოკუმენტაციით. შპს „ეი-ბი-სი ფარმაციამ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული 2016 წელს მისაწოდებელი რაოდენობიდან 2000 დოზის მიწოდება განახორციელა 2016 წლის 12 დეკემბერს, ხოლო დანარჩენი -14 854 დოზისა - 2017 წლის იანვარ-თებერვალში.

2.3.2 ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა (ანტირაბიული ვაქცინა)

ანტირაბიული სამედიცინო დახმარების პროტოკოლისა და სამინისტროს იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ცენტრის მიერ ჩამოყალიბდა 2015 წლის 15 იანვარს გამოცხადებული ტენდერის ტექნიკური დავალება⁴², რომლის მიხედვით, შესასყიდი ვაქცინა დამზადებული უნდა იყოს ქსოვილოვან კულტურაზე ან კვერცხის ემბრიონზე და უნდა იყოს რეგისტრირებული მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №188 დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნების ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ ან უნდა მიეკუთვნებოდეს ამავე დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის ბაზარზე დაშვებულ სამკურნალო ან რეგისტრირებული FDA და/ან EMA-ს მიერ ან პრეკვალიფიცირებული უნდა იყოს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. მოცემულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯი-პი-სი“ და მასთან 2015 წლის 20 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება ანტირაბიული ვაქცინის - „ზუდის კადილას“ წარმოების „ლისავაკის“ დასახელების 194 965 დოზის (ღირებულებით 1,879,461 ლარი) მიწოდების თაობაზე. მოცემული პროდუქტის მწარმოებელი ფარმაცევტული კომპანია იყო ჯანმოს მიერ პრეკვალიფიცირებული⁴³.

⁴¹ 2016 წლის 2 დეკემბრის №14195 მოხსენებითი ბარათი.

⁴² SPA150001253

⁴³ პრეკვალიფიკაცია არის ჯანმოს იმუნიზაციის, ვაქცინებისა და ბიოლოგიური საშუალებების დეპარტამენტის მიერ გაწეული მომსახურება, რომელიც იძლევა დასკვნას, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის და გაეროს სხვა სააგენტოების მიერ

2016 წლის 29 იანვარს ჯანმოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა მოცემული ვაქცინის მწარმოებელ კომპანიაში 2015 წლის ოქტომბერში ჩატარებული ინსპექტირების შედეგი⁴⁴, რომლის მიხედვით წარმოების სანიტარული ნორმები და ხარისხის კონტროლის სისტემა არ პასუხობდა GMP-ს (**Good Manufacturing Practices**) სტანდარტებს და მწარმოებელი კომპანია ვერ იღებდა პასუხისმგებლობას პროდუქტის ხარისხზე⁴⁵. აქედან გამომდინარე, კომპანიამ ნებაყოფლობით მიიღო გადაწყვეტილება 2015 წლის აპრილის შემდგომ წარმოებული RO111, RO112, RO113 და RO115 სერიის ვაქცინის ქსელიდან ამოღების შესახებ (მოცემული სერიის ვაქცინა საქართველოს ბაზარზე შემოვიდა 2015 წლის აგვისტოსა და ოქტომრის თვეებში, სულ 86 000 დოზა).

აღნიშნულის თაობაზე ცენტრს ეცნობა 2016 წლის 11 თებერვალს და დაიწყო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით ალტერნატიული ვაქცინის შესყიდვის პროცედურები. 23 თებერვალს ფრანგული კომპანია „სანოფი პასტერის“ საქართველოს წარმომადგენლობასთან გაფორმდა ხელშეკრულება 40 000 დოზის „ვერორაბის“ შესყიდვის თაობაზე, რომელიც სრულად იქნა მიწოდებული 4 და 11 მარტს. იმის გამო, რომ ქვეყანა არ დარჩენილიყო ვაქცინის გარეშე, ცენტრის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი ვაქცინის ხარჯზე ქვეყანაში სასიცოცხლოდ აუცილებელი ვაქცინის საკმარისი, სტაბილური მარაგის შექმნამდე გახარჯულიყო ზემოხსენებული სერიების „ლისავაკი“ და ამის შემდგომ მომხდარიყო მისი გაუხარჯავი დოზების დაბრუნება მწარმოებელი კომპანიისათვის. უფლებამოსილი პირების განმარტებით⁴⁶, მოცემული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას არ მოუმართავს ვაქცინის სავალდებულო ამოღების მექანიზმის გამოყენების თაობაზე და აგრეთვე „ლისავაკის“ მიხედვით, 2015 წელს განხორციელებულ სამედიცინო ინტერვენციების შედეგებს, რომელთა შესაბამისად არც ერთი, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო გვერდითი ეფექტი არ დაფიქსირებულა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ალტერნატიული ვაქცინის შესყიდვის შემდგომ გაიხარჯა 17 388 დოზა ზემოხსენებული სერიების ვაქცინა „ლისავაკი, ხოლო 7 420 გაუხარჯავი დოზა დაუბრუნდა მწარმოებელ კომპანიას 2016 წლის დეკემბერში.

2.3.3 კონტროლის სისუსტე

ქვეყანაში ანტირაბიული ვაქცინის სტარტეგიული მარაგების რაოდენობის განსაზღვრისა და სწორი განაწილების მიზნით, ცენტრში ყოველთვიურად სჯდ წარმომადგენს როგორც საკუთარ, ისე სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშგებას, რომელშიც ასახულია მარაგების შესახებ საწყისი ნაშთის, მიღება-ხარჯვის, ჩამოწერილი ვაქცინებისა და საბოლოო ნაშთის შესახებ ინფორმაცია. ანგარიშგებები შეიცავს შემდეგი სახის ნაკლოვანებებს და უზუსტობებს:

- წინა თვის საბოლოო ნაშთი არ ედრება შემდეგი თვის საწყის ნაშთს;
- სამკურნალო საშუალებების შესახებ (ნაშთები, მიღება - ხარჯვის) ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამისი სერიების და ვარგისიანობის ვადების გარეშე;
- არ არის გათვალისწინებული რეგიონებში/დაწესებულებებში სამკურნალო საშუალებების შიდა გადაცემები;

სხვადასხვა ქვეყნის იმუნიზაციის პროგრამებისათვის შეძენილი ვაქცინები შეესაბამება ჯანმოს ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის მოთხოვნებს, რომელიც ასევე გულისხმობს ჯანმოს მიერ კარგი წარმოებისა და კლინიკური პრაქტიკის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისობას.
http://www.who.int/immunization_standards/vaccine_quality/TRS_978_61st_report_Annex_6_PQ_vaccine_procedure.pdf?ua=1

⁴⁴ http://www.who.int/immunization_standards/vaccine_quality/NOC_CadilaFebruary2016.pdf?ua=1

⁴⁵ The Cadila Health Limited QMS in place failed to assume responsibility for the quality of the pharmaceutical products to ensure that they are fit for their intended use, comply with the requirements of the marketing authorization and do not place patients at risk due to inadequate safety, quality or efficacy.

⁴⁶ ცენტრის წერილები №06/1319 და №06/1680.

- წარმოდგენილი ინფორმაციით, 2016 წელს სულ ჩამოწერილია 886 სამკურნალო საშუალება, მათ შორის, ვაქცინა 392 და იმუნოგლობულინი - 494 ერთეული. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დგინდება ჩამოწერის მიზეზები. ამასთანავე, ჩამოწერილი სამკურნალო საშუალებების განადგურების აქტი წარმოდგენილია მხოლოდ 86 ერთეულზე.

ანალოგიური სახის უზუსტობები დადგინდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2010 წელს განხორციელებული დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის იმუნიზაციის კომპონენტის 2008-2010 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგად.

2.4 ეპიდზედამხედველობის პროგრამა

ეპიდზედამხედველობის პროგრამის მიზანია გადამდები დაავადებებისა და არაგადამდები დაავადების ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გამოვლენის, ადეკვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიულ სამსახურებზე დაფუძნებული სისტემის მუშაობის გზით. ეპიდზედამხედველობის პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებს ცენტრთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე ახორციელებს 3 რეგიონული და 60 რაიონული მუნიციპალური სჯდ. სჯდ-ების მიერ განხორციელებულ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ცენტრი, როგორც აქტიური (ადგილზე სჯდ-ების მიხედვით მარაგების ინვენტარიზაცია, სამკურნალო და სამედიცინო სახარჯი მასალების შენახვის პირობების შეფასება), ასევე პასიური (დოკუმენტური, კამერალური, ანუ ადგილზე, გაუსვლელად) სახით. არ არის განსაზღვრული აღნიშნული მონიტორინგის სახეების მიხედვით შემოწმებისთვის სჯდ-ების შერჩევის კრიტერიუმი. წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ არის გამიჯნული განხორციელებული შემოწმების ფარგლებში რა მოცულობის სამუშაოებია განხორციელებული ზემოაღნიშნული მონიტორინგის ცალკეული სახეობის მიხედვით.

აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩეული რეგიონული სტატუსის მქონე ა(ა)იპ - „ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“, რომლის ადგილზე მონიტორინგი ცენტრს არ განუხორციელებია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სჯდ ასევე არ აწარმოებს მატერიალური მარაგების ბუღალტრულ აღრიცხვას და 2015-2016 წლებში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია. ამასთანავე, 2016 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა სწრაფი მარტივი კომბინირებული ტესტების შერჩევითი ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა როგორც ზედმეტობა (21 ცალი), ასევე - დანაკლისი (53 ცალი).

2.5 ინვენტარიზაცია

- ცენტრალური აპარატის, რეგულირების სააგენტოს და ფონდის მიხედვით აქტივების ნაწილს არ აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომერი⁴⁷.
- სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ არის ჩატარებული ფინანსური მოთხოვნების/ვალდებულებების და მატერიალური მარაგების სავალდებულო ინვენტარიზაცია⁴⁸.

2.6 მოთხოვნები და ვალდებულებები გაკოტრებული ორგანიზაციების მიმართ

2016 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება დებიტორული და კრედიტორული დავალიანება იმ იურიდიული პირების მიმართ, რომელთა შემთხვევაში 2016 წელს ძალაში შესულია სასამართლო განჩინება მოვალის გაკოტრებულად გამოცხადების და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ:

⁴⁷ ინსტრუქცია, მუხლი 46, პუნქტი 3.

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება №605, მუხლი 3, პუნქტი 1.

- დებიტორული დავალიანება - 310,466 ლარი;
- კრედიტორული დავალიანება - 942,658 ლარი.

ამასთანავე, ცენტრალურ აპარატსა და სააგენტოში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის გაფორმებული დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე შედარების აქტები, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს აღნიშნულ პროცესზე კონტროლს და ასევე გაკოტრებულად გამოცხადებული და რეგისტრაცია გაუქმებული ორგანიზაციების გამოვლენას.

3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად

არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- შვეიცარული აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოეთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, სამინისტრო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მის მიერ კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ *კონსოლიდირებულ* (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცელდება *კონსოლიდირებული* (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნის თარიღი 18.04.2018წ.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ნინო ყიფიანი

მთავარი აუდიტორი



მარიამ ჭოლოკავა

უფროსი აუდიტორი




ნინო ბუხნიკაშვილი

აუდიტორი



თამთა მელქაძე

აუდიტორი



ნაზი ჩაგანავა

აუდიტორ - ასისტენტი



5. დანართები - სამინისტროს (35 00) ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

ფორმა №1

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)				
	დასახელება	ანგარიში	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	9,783,612	9,059,210
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	16,382,106	9,437,103
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	26,761,982	25,296,509
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	1,864,681,780	238,828,094
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		1,917,609,480	282,620,916
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	4,947,419	4,954,684
100	სტრატეგიული მარაგები	1610	3,655,856	3,509,614
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	881,333	751,257
120	ძირითადი აქტივები	2100	307,315,765	298,422,469
130	ფასულობები	2300	-	-
140	არაწარმოებული აქტივები	2400	16,904,189	11,515,477
150	სულ გრძელვადიანი აქტივები		333,704,562	319,153,501
160				
160	ბალანსი		2,251,314,042	601,774,417
170	ვალდებულებები			
180	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
190	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	-	-
200	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	16,151,802	17,735,208
210	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები			
220	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	574,422	322,793
230	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
240	სულ ვალდებულებები		16,726,224	18,058,001
250	კაპიტალი			
260	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	2,231,820,212	580,747,848
270	გაუნაწილებელი მოგება	5220	2,767,606	2,968,568
280	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
290	სულ კაპიტალი		2,234,587,818	583,716,416
300	ბალანსი		2,251,314,042	601,774,417

ფორმა №2
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება		2016 წლის წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
		ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,265,213,330		3,265,213,330	2,906,120,794
020	შემოსავლები (030+040+050+060)	6,046,087,847	1,139,535	6,047,227,382	1,103,626,127
030	გადასახადები			-	-
040	სოციალური შენატანები			-	-
050	გრანტები	548,438,553	42,020	548,480,573	30,814,787
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	5,497,649,294	1,097,515	5,498,746,809	1,072,811,340
070	ა) ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	50,244	50,244	-
080	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	905,796	905,796	965,337
090	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	3,780,356	8,101	3,788,457	3,181,147
100	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	5,493,868,938	5,737.00	5,493,874,675	1,067,336,771
110	ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	127,637	127,637	1,328,085
120	სულ: (010+020)	9,311,301,177	1,139,535	9,312,440,712	4,009,746,921
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	34,618,202	539,984	35,158,186	34,129,236
150	საქონელი და მომსახურება	61,925,800	457,155	62,382,955	58,265,696
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	11,497,744	54,250	11,551,994	11,202,926
170	პროცენტი			-	-
180	სუბსიდიები	8,604,507	-	8,604,507	8,929,550
190	გრანტები	29,732,550	-	29,732,550	29,765,675
200	სოციალური უზრუნველყოფა	7,465,812,489	-	7,465,812,489	3,587,385,801
210	სხვა ხარჯები	50,276,745	9,021	50,285,766	32,077,424
220	რეალიზებული მარაგების ხარჯი			-	-
230	სულ: (140+150+160+170+180+190+200+210+220)	7,662,468,037	1,060,410	7,663,528,447	3,761,756,308
240	ფინანსური შედეგი (120-220)	1,648,833,140	79,125	1,648,912,265	247,990,613

ფორმა №3					
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში					
დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ	
010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	1,651,072,364	(200,962)		1,650,871,402	
020 კორექტირებები:	(1,633,503,408)	87,304	-	(1,633,416,104)	
030 ცვეთა (+)	11,497,744	54,250		11,551,994	
040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(6,492,836)			(6,492,836)	
050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(1,625,815,517)	(184,411)		(1,625,999,928)	
060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(123,577)	(6,499)		(130,076)	
070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(11,220,564)	238,320		(10,982,244)	
080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(1,348,658)	(14,356)		(1,363,014)	
090 წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	17,568,956	(113,658)	-	17,455,298	
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან					
110 არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-			-	
120 ძირითადი აქტივები				-	
130 სტრატეგიული მარაგები				-	
140 ფასეულობები				-	
150 არაწარმოებული აქტივები					
160 არაფინანსური აქტივების შესყიდვა	16,701,427	38,861	-	16,740,288	
170 ძირითადი აქტივები	16,701,277	38,861		16,740,138	
180 სტრატეგიული მარაგები				-	
190 ფასეულობები				-	
200 არაწარმოებული აქტივები	150			150	
210 წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(16,701,427)	(38,861)	-	(16,740,288)	
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან					
220 წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	7,265			7,265	
230 წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა					
240 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	7,265			7,265	
250 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	874,794	(152,519)	-	722,275	
260 ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	8,104,776	954,434		9,059,210	
270 ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	8,981,701	801,911		9,783,612	
280 ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)					
290 დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)					
300					

ფორმა №4				
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში				
N	დასახელება		(საანგარიშო წელი)	
		ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	580,747,848	2,968,568	583,716,416
020	არასაოპერაციო შემოსავლები (030+040)	10,589,944	2,295	10,592,239
030	კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	1,156,447		1,156,447
	არაფინანსური აქტივების მიღება	7,745,752		7,745,752
	კრედიტორის დაფარვა	1,687,745	2,295	1,690,040
040	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები			-
050	არასაოპერაციო ხარჯები (060+070)	4,404,445	279,958	4,684,403
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	402,905		402,905
	არაფინანსური აქტივების გასვლა	3,243,451		3,243,451
070	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	758,089	279,958	1,038,047
080	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (090+100)	3,946,275	2,423	3,948,698
090	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	3,946,275	1,870	3,948,145
100	მოგების გადასახადი		553	553
110	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	1,648,833,140	79,125	1,648,912,265
120	ნაშთი წლის ბოლოს (010+020-050-080+110)	2,231,820,212	2,767,607	2,234,587,819

ფორმა №5								
ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში								
დასახელება		ბიუჯეტით დამტკიცებ ული გეგმით	დაზუსტებუ ლი გეგმით	გადახრა % დამტკიცებ ულ და დაზუსტებ ულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებ ულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010	ხარჯები	3,174,162,000	3,225,277,588	101	3,239,561,689	100	7,662,402,673	236
020	მათ შორის:							
030	შრომის ანაზღაურება	31,491,000	32,589,000	103	34,603,848	106	34,618,202	100
040	არაფინანსური აქტივების ზრდა	27,838,000	15,157,546	54	24,380,159	160		
050	ფინანსური აქტივების ზრდა							
060	ვალდებულებებ ის კლება		467,025		1,271,482			

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE